ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #167/ბ

23 დეკემბერი 2016 წელი

ქ. მცხეთა

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ კახი ოქროპირიძე შემდგომში „მიმწოდებელი", . წარმოდგენილი დირექტორის კ.ოქროპირიძის სახით სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ექსკავატორის ნაწილების (CPV 43640000) შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 550 (ხუთას ორმოცდათი) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე რობერტ იმერლიშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის	
კეთილმოწყობის სამსახური	ი/მ კახი ოქროპირიძე
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 01029008631
ს/კ 436036246	ა/ა GE78BG0000000227241500
	ბანკი: საქართველოს ბანკი
	ბ/კ BAGAGE22
დირექტორი: ნ.კაპანაძე	დირექტორი: კ.ოქროპირიძე

ქ.მცხეთა

23 დეკემბერი 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ვაიპ თვითმმართველ ქალაქ „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი" კეთილმოწყობის სამსახურსა და ი/მ კახი ოქროპირიძეს შორის 2016 წლის 23 დეკემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N167/გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის
დირექტორი: ნ.კაპანაძე

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის
საწყობის გამგე: რ.იმერლიშვილი